



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030404252969416

04-632/ო

27 / დეკემბერი / 2016 წ.

**2017 წლის 20 დეკემბრამდე სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ აგენტთა ყოველდღიურად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის განსაზღვრის შესახებ**

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 25 ივნისის N04-176/ო ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ აგენტთა შრომის აღრიცხვისა და ანაზღაურების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში -სააგენტო) დირექტორის 2015 წლის 25 ივნისის N04-176/ო ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ აგენტთა შრომის აღრიცხვისა და ანაზღაურების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების ყოველდღიურად შესასრულებელი სამუშაოს მაქსიმალური მოცულობა 2017 წლის 20 დეკემბრამდე განისაზღვროს 10 (ათი) ერთეულით.
2. დაევალოთ სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსებს წინამდებარე ბრძანების გაცნობა მათდამი დაქვემდებარებული სოციალური აგენტებისათვის.
3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე